კარალაკ. 25 დეკემბერი

ფასი 10 კაპ.

94
1909 12

მათრახი

და სალამური

№ 29

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიილება ხელის მოწერა 1910 წ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში „ შრომის“ სტამბაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შეაფებში, ქუთაისში ის. ეკვიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან -- წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში—მ. თალაკვაძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფულიშემდეგ აკრესით:

Тифлисъ Типографія Т-ва „Шрома“ Василію Карамановичу Болквадзе

1876

სხვა და სხვა მიზეზებისა გამო ეს გვერდი უსურათოთ იბეჭდება. სურათი დაიბეჭდება შემდეგ მორიგ ნომერში.

„მოგვთა“ თაყვანის-ცემა.

გურჯისტანს, ღარიბ ქალაქში,
(როს მიწურა ზაფხული,)
ერთ მეწვრილმანე ებრაელს
ეპოვნა გამოქვაბული.
მას იქვე ბინა მოეწყო
ღარიბათ ანაშენები,
სამიოდ ვირი ებადა
ოჯახის დამამშვენები.
ვაჭრობდა საწვრილმანოთი,
როგორც გაეწყობოდა,
მის მრეწველობის „კრიზისი“

დიდათ არ დაეტყობოდა.
თავს ინახავდა ამ ტანჯვით,
მარჩენალ ვირებს კვებავდა,
ყოველგან უიმედობას
და უსახრობას ხედავდა.
მაგრამ განგებამ სიყრმითვე
ის ბედის კვერით აპურა,
დიდების სხივი აღუთქვა,
და კიდეც დაადასტურა.
აღსრულდა წინასწარმეტყველთ
ნათქვამი, დანაწერავი,
დიდების შუქით გაბრწყინდა
ამ მეწვრილმანის კარავი.
მას შეეძინა ჭაბუკი,
მამულის მხსნელი, მესია,
იშვა ის ვირის ბაგაში,
როგორც რიგი და წესია.
,,პარტიის კაცი'' უწოდეს,
ლამაზ-ნორჩს, ახალშობილსა,
და მამა თავზე ევლება
მამულის მხსნელთათ ხმობილსა.
ესე ამბავი გაესმა
გურჯისტანს ყოველ მხარესა,
მოგვებმაც ნახეს ვარსკვლავი,
მოსვლა არ დაიზარესა;
გზად გამოეწყვენ, მოვიდენ
მუხლები მოიყარესა,
ზეცას შესთხოვეს წყალობა
ცრემლებიც ბევრი ღვარესა.
უთხრეს: ებოძა დიდება
ჩვენს ბეჩავს, ცოდვილ მხარესა,
გაიზრდებ-დავაჟკაცდება
შუქს დაუბნელებს მთვარესა.
ჩვენ, კაცთა, თვალზე შეგვაშრობს
გულ-მწველი ცრემლის ღვარგბსა
ადამის მოდგმას დაიხსნის
განატანჯ-განამწარებსა.
მამაც არ ზოგავს შვილისთვის,
არც თავს, არც თავის ვირებსა,
ფიქრობს: „პარტიის კაცია''
ქვეყანას გააკვირებსა!!''

— კი.

ინტერვიუ ეშმაკთან

— რაკ, რაკ, რაკ... მოისმა ჩემი ოთახის ფანჯარაზე და მოულოდნელმა ხმაურობამ უცებ მომწყვიტა ჯოჯოხეთის სიმშვენიერეზე ოცნებას.

— ვინ არის? გავეხმაურე ოთახიდან.

— რაკ, რაკ, რაკ...

— შემობრძანდით, კარები ღიაა, შემობრძანდით!

ვერც კი მოვასწარ რიგიანად სიტყვის გათავება, რომ ჩემ თვალს საოცარი, წარმტაცი სანახაობა დაუდგა წინა ეს გახლდათ, ასე, შვა ტანის ჩონჩხი, რომელსაც სიცოცხლის ნიშან-წყალი მხოლოდ ცეცხლის თვალებზე ეტყობოდა. იდგა უძრავათ ჩემს წინაშე. გრძელი თმა-წვერი წელამდე ეყარა. ხელში რკინის ცელი ეჭირა და ყელზე ჭრელი გველი ეხვია. მე უნებლიეთმა შიშმა შემიპყრო. ბევრჯერ მენახა სიკვდილის სილამაზე, მაგრამ სიცოცხლის ბუნება მაინც ასეთია.

— ვერ მიცანით? სამარის ხმით ჩაილაპარაკა მან.

— მრცხვენია ამის თქმა, მაგრამ წარმოიდგინეთ, სრულიად არ მეცნობით. ალბათ დიდი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს?

— სცდებით. ჩვენ გუშინდელი ნაცნობები ვართ!

— მაპატიეთ, ვერა გცნობთ!

სტუმარი წელში გასწორდა, თითქო ცოტათი ამაღლდა კიდევაც. წვერზე თითის ძვლები დაისვა და ოთახში უსიამოვნო ხრაკის სუნი დააყენა. მე სკამი დავუდგი, დაჯდომა ვსთხოვე.

— არა მცალია, მეჩქარება.

— მაშ ნება მიბოძეთ ვინაობა გკითხოთ?

— ძველი წელიწადი გახლავარ! მივდივარ და მსურს თქვენი ლოცვა-კურთხევა თან გვიყოლიო.

— ძველი წელი!! ნუ თუ ძველი წელი თქვენა ბრძანდებით?!

— ნუ მაყოვნებთ, ხედავთ თანამგზავრნი მიიჩქარიან?

ყელის გველი შეინძრა და მგესლავი სისინი მორთო. ჩონჩხის სხვა და სხვა ადგილებიდან გამოეფინენ მრავალ-გვარი ქვეწარმავალნი, გარს შემოეხვივნენ და ალერსი დაეწყეს.

— რატომ იჩქარით; დაბრძანდით, მცირე ხნით დაისვენეთ.

— ნუ გვაყოვნებთ, ისედაც ცამეტი დღით შემაგვიანდა, განა ეს არა ემარა? მსურს აღსარება გითხრათ, ჩემი გულის საიდუმლო გაგიზიარო, რომ ჩემს შემკვიდრეს გადასცე ძღვნათა და იქაც, ჯოჯოხეთის კარები გამეღოს.

— კეთილი! მაშ ბრძენეთ რა სამსახური მიგიძღვით ჯოჯოხეთის წინაშე, რითი ვგსურთ მისი ნდობის მოპოება. ბრძანეთ!

— განა აღარ მენდობით? სულ რაღაც ერთი წელიწადია თქვენთანა ვცხოვრობ და ამა რამდენი ბოროტება აღმოვაჩინე. თქვენ კი უნდობლობას მიცხადებთ! მაშ მისმინეთ.

— დაიწყე!

ბრძანების კილოთი წარმოსთქვა ჩონჩხმა და

უკანა ფეხებზე შემდგარმა ბაყაყმა გულშემზარავი ყიყინით აავსო მთელი ოთახი. დაბერილი ბუშტე ბი და მუცელი ფრიად უსიამოვნო სანახაობას წარ. მოადგენდა. გულმოდგინებით იცვლიდა კიღრეკა ვებს, მაგრამ ჯოჯოხეთისათვის მაინც მცირე იყო.

— მოგწონთ? ესეც თქვენი მესამე დუმა!.. ალბათ კმარა!

— არა, ძვირფასო, იკმარებდა, რომ ეს თქვენი ხელის შემოქმედება იყოს, მაგრამ სავსებით თქვენს სამსახურს იგი არ მიეწერება. აქ თქვენს მშობლებსა და წინაპრებსაც უძევთ წილი. განაგრძეთ.

— სასტიკი ყოფილხართ. მაშ ისმინეთ.

— დაიწყე!

დიდ თავა ჭოტი ამაყად წამოსკუპდა ცელის ტარზე და ისეთი მწარე კვნესა ამოჰკიდა, გული შემიწუხდა.

— იცანით? დასდეთ მსჯავრი.

— ვიცან! თითონ მსჯავრსა სდებენ!..

— კმარა?

— არა საყვარელო, აქაც დიდი მემკვიდრეობა დაგრჩათ წინაპართაგან, ეს თქვენს საკუთარ ნამსახურობაში არ ჩაითვლება. განაგრძეთ!

— მიკვირს! მაშ ისმინეთ.

— დაიწყე!

იატაკზე ჩამოცურებული გველი მსწრაფლ სრიალით აჰყვა ჩონჩხის მიკიბულ-მოკიბულ ძვლებსა და ყელზე მშვენიერ გალსტუკათ გამოინასკვა.

— მოგწონთ?

— მომწონს! ძლიერაც მომწონს, მაგრამ თქვენს ნამსახურობით ქაღალდში სავსებით არც ეს ჩაიწერება, აქაც მემკვიდრეობაა. განაგრძეთ!

— მოულოდნელ სიმკაცრეს იჩენთ! მაშ ისმინეთ ბ ნო ეშმაკო!

— დაიწყე!

იქვე ცოცხალ-მკვდარი წურბელები ხარბათ დაეხვივნენ გაბერილ ბაყაყსა და ქართველი აზნაურის „პორტმანეს“ გასწურ-გაალიერეს. საწყლები! სულს ველარ ითქვამდენ, ზოგნი შიმშილით, ზოგნი გამაძღრობითა.

— აბა კარგა დაკვირდით, იმედია იცნობთ?

— ვიცნობ, ვიცნობ! მომწონს, მაგრამ ვერც ამას მივაწერ თქვენს კერძო მოღვაწეობას. პირიქით, თქვენ ზოგიერთ წურბელებს ჩექმებიც გაბადეთ. სამსახურში არ ჩაგეთვლებათ. განაგრძეთ!

— ულმობელი ყოფილხართ! მაშ იხილეთ.

— დაიწყე!

ბატარა, მარდი ობობა ხელათ აცოცდა ოთახის ბნელ კუთხეში, რამოდენიმე ჯერ გაინავარდა, სმუცხოვო ქსელი გაბა და თითონაც ჩაუსაფრდა. სულელი ბუზი უცებ გაეხლართა შიგა და ობობას კერძი შეიქნა.

— ეს ძველის-ძველი სურათია, ბ-ნო სტუმარო, ამით ჯოჯოხეთის კარებს ვერ გაიღებთ. განაგრძეთ!

— ეს კი მეტის მეტია! თუ ასე გვაყვევთ ყველაფერს გამოუჩნდება მემკვიდრეობითი ბილო! ალბა უყურეთ.

— დაიწყე!

პირბადიანი ღამურა, შავი, საზიზღარი, მკვდარივით ფაფაცა თავგვების წინ. მოასულიერეს, გაიამხანაგეს. დაიწყეს თათბირი კატის შესახებ. თაგვებს ძლიერ სძულთ კატა. ჩაუსაფრდენ მოსაკლავათ. კატასაც ეს უნდოდა. თაგვები შეიჭიმენ, ხოლო ღამურა გაფრინდა. ფრთებიც მიტომ მიუცია ღმერთს!

— ესეც ალარ მოგწონთ?

— რავქნა, არ ახალია, ძველია! მაგრამ ამ მხრივ გაქვთ მცირე დამსახურება. საკმარისი არ ეგ არის. განაგრძეთ!

— სასტიკი მსჯავრია! ამაგის დაუფასებლობაა. ისმინეთ.

დაიწყე!

ჩასუქებული ვირთხა ხარბათ ეცა მწვანე მუხლუხოს; ჯერ ერთი ტყავი გააძრო, შემდეგ მეორე. უმწეო მსხვერპლი ძალმომრეობისა საშინლათ იგრიხებოდა, მაგრამ მშველელი ვინ იყო.

— ეს დიდი არაფერია! სინამდვილეს არ შეესაბამება. ხშირათ სამჯერაც ახდევინებდენ ტყავს, და არა თუ ბ-ნი ვირთხები, არამედ უბრალო თაგვებიც. არ კმარა, განაგრძეთ!

— მოთმინების ფიალა ლამის ამეკვსოს! ნუ თუ ჩემი ცხოვრება მხოლოდ სხვის დაწყებულებათა განგრძობაა?! მაშ უყურეთ.

— დაიწყე!

მახვილი ქაცვებიანი ხღარბი მარდათ სწვდა კუდში მწვანე ჯოჯოსა, წამოიქოჩრა თავზე ხიშტების საფარი და არხეინათ შეუდგა საუზმეს. ჯოჯო სიმწარისაგან იგრიხ-იკლაკნებოდა, მაგრამ წვეტიანი კბილები ხღარბის საფარისა კიდევ ვარეს დღეს აყენებდენ და სიმწვავეს უსაკეცებდენ.

— ეს წესიც იქნებ მემკვიდრეობით მაქვს გადმოცემული, არა? ალბათ ამაშიაც შემაცილებთ ჩემს წინაპრებს?

— რა ვქნა, ძვირფასო, სიმართლე ჯოჯოხეთს ანათებს, ძღარბული წესებიც არ არის შენი საკუთარი მოგონება. ესეც მემკვიდრეობით გადმოგეცა. შენ ჯერ ნორჩი იყავი...

— მშვიდობით ბ-ნო ეშმაკო! არ წერებულა ჩემთვის ჯოჯოხეთის ქება! მე შემძაგდა თქვენი სამართალი, მეზიზღება თქვენი ჯოჯოხეთიც. შშვიდობით, მაგვიანდება.

უცებ მოტრიალდა და კარებისაკენ გაემართა ქვეწარმავლებმა საშიშარი მოთქმა წივილი ასტეხეს. ყველას თან გაყოლა უნდოდა, მაგრამ ძველი წელი სასტიკი გამოდგა. არც ერთი ახლოს არ მიიკარა. კარებიდან მიუთითა სადღაც შორს, შორს. ბედაურ ვირზე მჯდომარე მემკვიდრეს და მსწრაფელ წარსულის კალთას ამოეფარა. ქვეწარმავალნი მხიარულებითა და სიცილით ახალშობილს მიეგებენ...

ვეცდები მეც ვინახულო მომავალი ვიროსანი.

ᲔᲨᲛᲐᲙᲘ.

ᲨᲝᲒᲐ

დღეს იშვა იგი—
ტანჯულთ ვარსკვლავი, აზრით დიადი,
ქვეყანას ტანჯულს
მიესალმა, სძლია წყვდიადი.
კიდითგან კიდეს
აუთამაშა გულში იმედი,
თითქმის ჩამკვდარი
გაუცხოველა სიცოცხლის ბედი.
მისი ვარსკვლავის
ციმციმა სხივმა შორს გადატყორცნა
ძმობა, ერთობა,
მიწვდა ტვირთ-მძიმეთ, გრძნობით ჩაკოცნა.
და გაახარა...
ცრემლი შეაშრო მთელ ქვეყანასა,
თავ-დავიწყებულს
ჩასძახის ყურში ციურ ნანასა...

—

მეც მინდა მეც გავიხარო
დღეს ბედნიერს, დიდებულსა!
შორს იუდა და გოლგოთა,
დღეს შვება სურს ტანჯულს გულსა.
იგი ამბობს: გავიხაროთ,
როცა იშვა ქვეყნის მხსნელი
და მისს ვარსკვლავს გაუწოდოთ
სასოებით, თრთოლვით ხელი.
და მეც ვგონებ ჩემს გულის თქმას,
შეეხალისებ ქრისტეს შობას,
თან თაყვანს ვსცემ ვინც ქადაგებს
სიყვარულის დიდ გრძნობას.

Ვ. ᲛᲐᲚᲐᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲕᲐᲘ ᲪᲮᲕᲘᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ!

უეჭველია შეამჩნევდით, რომ ბოლო უკანასკნელ ხანებში ცხვირთა შორის დიდი ევოლუციია მოხდა. მოკლეთ ვთქვათ, ცხვირები ისე გადაშენდენ, რომ წინაპაროთა ნატამალი არც ერთს აღარა სცხია. განცვიფრებაში მოდიხარ, როცა ხედავ, ადრინდელი ცხვირის ნანგრევზე ხუმრობით ნასროლი ფინჩხის მსგავსი რაღაც ზამოსკუბებულა, ან და თვალსა და თვალს შუა ფოლაქის მსგავსი ხორცმეტი ამოკუზულა. გაკრენ ღირს შესანიშნავნი ცხვირნი,—„ზღრნის ბოლო“, „კეხიანი“, „ქორონისკარტა“ და მათ ნაცვლათ „ნაჭყიტურა“, „კოშია“ და „კუბერა“ ცხვირები შემოვიდენ ხმარებაში. აი სად ითქმის ბედაურნი დაიხოცენ, ვირებს დარჩათ მოედანიო.“

ამ უცნაურ მოვლენას ზოგი მეცნიერი ისე ხსნის,—თითქო ბუნების ცვლებადობას ცხვირებიც ჩაეთრიოს თავის ფარგალში; ზოგიერთები კი ცხვირების დაკნინების მიზეზათ იმათ ხშირ მოხოცვას ასახელებენ. მე არც პირველს ვეთანხმები და არც მეორეს ცხადზე უცხადესია, რომ ამ დაჩიაგების მიზეზი არის ცხვირებზე მუშტების წარამარა თარეში და ეს მით უმეტეს, რომ გადაგვარების ხანა ცხვირებში, მხოლოდ და მხოლოდ მუშტების თავისუფლების გამოცხადების დღიდან იწყება.

ზოგი ჭირი მარგებელიაო, ამბობს ერთი ანდაზა. არ იქნებოდა ურიგო ამ თქმულების ავტორს პირველისათვის მეორე ანდაზაც დაებირდაპირებია, რომ „ზოგი ბედნიერება ჭირზედაც უვარესია“,—რადგან ცხოვრებაში ხშირათ ასედაც ხდება ხოლმე. თუ ვინმეს ბედმა გაუღიმა და ნიშნათ ძველი დიდებისა, გაკრამლინაკებული ცხვირი როგორმე, შეანარჩენა, ეს ბედნიერება მისთვის ჭირზე უჭირესი ჭირია. ამ ერთანირი ბარგის პატრონი, ქალი იქნება ის თუ კაცი, ბრალია, რადგან ამ გვარი ცხვირი საზოგადოებაში შუა თითიგით გამოჩრილია და გამვლელ გამომვლელის ყურადღებას ძალაუნებურათ იტაცებს და სიცილს იწვევს.

გადარჩენილი ცხვირის პატრონი იყო აწ განსვენებული დარისპან ყრუაძეც. ცხვირების პოგრომის დროს, დიდის ვაი ვაგლახით მოსძებნა იმან „ნაჩალნიკთან“ ერთი ჩუმი და მიყრუებული ადგილი, შერგო შიგ თავისი „კეხიანი“ ცხვირი და მთელი ხანა ცხვირების რბევა ზელვისა იქ გაატარა როცა ცხვირების ამნისტია მოხდა, დარისპანმაც თავისი ბარგი საბუდრიდან გამოიტანა და წმინდა ჰაერი ამოისუნთქა. მარა იმისთანა თქვენს მტერს! მიიხედ მოიხედა და „კეხიანი“ ცხვირი მის მეტს არავის ეგონა. მოგვესენებათ ერთ დროში კუდი ადამიანის კუ-

თვნილებასაც შეადგენდა, მარა კაც-კუდობამ კარგა ხანია გაიარა და ახლა კუდიანი კაცის დანახვა ხომ საშინელ სიცილ ხარხარს გამოიწვევს? ასეთ პირობაში ჩვარდა საბრალო დარისპანიც! „კეხიანის“ წყალობით ის ყველასაგან თითით საჩვენებელი შეიქნა და დღე ისე არ გავიდოდა, რომ უსიამოვნებას არ გადაყრიდა.

ერთხელ, ამ ნიადაგზე ქუჩის ბავშვებშიაც კი ჩაერია ისმუშტებით და საშინელი კორიანტელი ააყენა. ბოლო ხანებში ის საშინლათ გაეტვიანდა; საუბრის დროს რომ ვისმე მასთან ცხვირი ეხსენებია, ის დაცინვათ იღებდა და საქმე, თუ მეტით არა, მედიატორებში გამოწვევით მაინც თავდებოდა.

დარისპანს სადღაც ერთ მიყრუებულ სკოლაში ესწავლა და როგორც თვითონ იტყოდა, რაღაც „ცენზიც“ ქონდა, რომელსაც ხშირათ წამოაბერტყებდა ხოლმე. ამიტომაც მას მეტ სახელათ „ცენზიანი“ უწოდეს.

ერთ შემოდგომაზე „ცენზიანმა“ სიცივის მოახლოვება იგრძნო და მკერვალს საზამთრო პალტო დაუკვეთა. რამდენიმე დღის შემდეგ ხელოსანმა პალტო „ცენზიანას“ მოარგო, ახედ დახედა და უთხრა:

— ყველაფერი რიგზეა, ბ-ნო, მხოლოდ საყელოს ცხვირი ცოტა მოგრძო გამოსულა და დამოკლება ეპირვება.

ცხვირის ხსენება და „ცენზიანას“ ანთება ერთი იყო.

— რა თავს იგდებ, ყაბახო, ე მაგ დაკუბერებულ ცხვირს ხინკილასავით გაგიხდი! შეყვარა მან ხელოსანს და ლანძღვას უმატა. როცა ხელოსანმა შენიშნა რომ მლანძღავი აღარ ცხრებოდა, გადმობარუნა და „კეხიანი“ ცხვირი დაუჭეჭა. დიდის ვაი ვაგლახით იხსნეს ქარგლებმა ზედმესრულისაგან ქვემდებარე, წამოაყენეს და ხუთი ვედრა, თითო მეექვსედ კაპეიკთ ღირებული წყალი, გადაავლეს მის „ცენზიან“, თავს; სისხლი მოუწყვიტეს და ცხვირი შეუხვიეს.

— ეხლავე სამედიატორო სამართალში უნდა გამომყვეო, დაუყვირა წამოსვლის ხანს იმან ხელოსანს, რომელმაც დაუყონებლივ გამოსძახა: „მზათ ვარო“.

შინ დაბრუნებულმა „ცენზიანამ“ ცხვირის საშინელი ტკივილი იგრძნო, ჩაწვა ლოგინათ და კაცი ექიმთან აფრინა. მკურნალმა უნდომს სნეულება გამოკითხა. „ცენზიანას“ ცხვირის ხსენება ისე შესძაგებოდა, რომ ექიმს მტკივანი ადგილი მუნჯურათ თითით ანიშნა. სახელოსნომ შენახვევი ცხვირი მკურნალმა შეხსნა, მოსწმინდ-მობანა, ნამუშტარი ადგილები ნემსით მოუკერა და „ბოლოს წაიხუმრა:

— ამით არაუშავს რა, ეს ორგანო რამდენთაც დაზიანდეს, საკმარისი ცხვირი მაინც გამოვეთ.

ამ სიტყვებმა ცენზიანა გააოცა:

— როგორც ვხედავ შენ თავს იგდებ ბ-ნო ექიმო, მე შენ ლანძღვას ვერ შეგარჩენ. ახლავე სამედიატორო სამართალში უნდა გამომყვე და იქ დაგანახვებ, თუ ვისაც ეხუმრები და ლანძღავ.

საშინელ მდგომარეობაში ჩავარდნილი ექიმი ადგა და კარი გარეგან გამოიხურა. (ამბობენ ცენზიანას არც სწყენია ეს, რადგანა ფულის გაცემა ჭირივით, ეზარებოდაო). როცა ცხვირი მოუშუშდა, ექიმსა და „ცენზიანას“ შუა სამედიატორო სამართალი გაჩაღდა.

სხვა და სხვა სასკოლო „მეცნიერების“ ღეჭა-ძოღნით „ცენზიანას“ ენა ისე გადაბორძიკებოდა, რომ ხშირათ ვერც კი გაარჩევდი თუ რის თქმა ენდოდა, რას ეპირებოდა. მეტადრე, როცა გაცხარდებოდა, გეგონებოდათ პირში შემწყვარი კარტოფილი უძეესო. ასეთ ღრიალ რაგრაგზე თავმჯდომარემ ბევრჯერ შეაჩერა ის, მარა, როცა ვერაფერს გახდა, შენიშნა:

— ძმაო დარისპან, რა ამბავია, შე კაი კაცო, სული ცხვირში ხომ არ გაქვს?

ამ ფრიად უკმეხი სიტყვების გამგონე „ცენზიანას“ სული ყელში მოეჯინა, თავი ველარ შეიკავა და საშინელის ხმით შეღრიალა:

— პატივცემულო ბატონო თავმჯდომარეე, როგორც ვხედავ შენც თავს იგდებ, ახლავე სამედიატორო სამართალში უნდა გამომყვე ლანძღვა გინებისთვისო, დაკა სტოლზე მუშტი და მრისხანეთ გადახედა. ჩაშალა ის მედიატორობა. ახლა ბრალდებულის სკამზე თავმჯდომარე უნდა წამოსკუპებულიყო. ასედაც მოხდა.

ერთ დილას, როცა ცენზიანა ამ სასამართლოში მიეჩქარებოდა, ქუჩაში კარზე ფართე წარწერა ამოიკითხა: „ცხვირის ექიმი № ღებულობს... ცენზიანას მოთმინების ძაფი გაუწყდა, აქაც დაცინვა მოელანდა და ზარები ჩამორეკა. ბიჭი მოეგება კარებში, მარა ხმის ამოღება აღარ აცალა ისე შეუყვირა:

— სად აგდია ის შენი ტუტუცი ექიმი. ახლავე გამომგვარე აქ, და თუ სამედიატორო სამართალში არ გამომყოფა მის სეირს გაჩვენებო.

— შენ, ჩემო ბიძია, ვიღაც ოხერი ხარ, რომ აგიღერია ცხვირი და ილანძღები ვინ მოგცა მაგის პრავა? შემოუძახა ბიჭმა. აქ „ცენზიანას ცეცხლზე ნავთი გადერთა

—შენც იმის მსგავარი ტუტუცი ხარ, ახლავე რომ

სამედიატორო სამართალში არ გამომყვები სიკვდილამდე ჩაგდევ, უმატა ხმას და წესიერების აღმადგენელის ყურადღება მიიქცია. ეს უკანასკნელი მსწრაფლ გაჩნდა მომხდარი უბედურების ადგილზე და წესიერების აღსადგენათ ღონე იღონა. (ასე ეწერა სათანადო რაპორტში). ,,ცენზიანამ'' ოცდა ოთხი საათი დაყო მოსარჯულებელ აბანოში. მეორე დღეს ის დაღონებით იჯდა თავის ოთახში მწარე ფიქრების ფრთებზე მფრინავი. ქუჩიდან უცებ მოსწავლეთა ჟივილ-ხივილი და კითხვა მოესმა. ისინი სკოლიდან სახლში ბრუნდებოდენ და გაკვეთილს გზაში ამზადებდენ: ,,კოლმა ლომი საომრად გამოიწვიალლომს ეს სიცილად არ ეყო, გაექანა და შიგ ცხვარში ეცა....'' ცენზიანას თვალები აეთოო, მწარეთ ამოიოხრა, თავი ეველარ შეიკავა და ქუჩაში გამოვარდა. დაინახა ბავშები და, რაკი სამართალში გამოსაწვევათ აღარ ღირდენ, ერთი შეუკურთხა და დაღონებული, სახლში შებრუნდა.

თავის დღეში ასეთი მძიმე დარდი არ გამოუცდია საწყალ ,,ცენზიანას''. ახლა იმას ათასჯერ ერჩია მისი ცხვირიც ვისმე მუშტის მსხვერპლი გამხდარიყო, მარა გვიანღა იყო. მეტი ღონე აღარ დარჩენოდა, რამე ხერხი უნდა გამოეძებნა, რომ ,,დაცინვა'' თავიდან, აეშორებია. ეს ხერხიც ადრე მოიფიქრა: მიმართა ჯარა ექიმს და სამართებელი დანით მოალამაზებია ძირში. მონაპერი ცხვირი მიიტანა ,,ნაჩალნიკთან'' და ძველ ადგილზე დამალა. მართალია ცხვირად ცხვირი მოიშორა, მარა ,,ცენზიანას'' წამხდარ დროზე ისიც დიდ ბედნიერებათ მიაჩნია, რომ ცხვირი ,,ბატონთან'' მყუდრო ადგილზე აქვს დამალული.

ა. ბლიკვაძე.

ზღვას

—

როს არ ღელავდი, აღარ შეოთავდი,
შენს სახეს ჭმუნვა არ ემჩნეოდა,
თითქოს ყველაფერით იყავი სავსე,
აღარაფრისა დარდი არ გქონდა,
აღარა გქონდა ომი კლდეებთან,
ხმელეთის ზღუდეს დამცველებთანა,
თუმც შენი სახე მშვიდი და წყნარი
თავის დიდებას იმჩნევდა თანა.
ოჰ, ზღვაო, ზღვაო, მაშინ სურვილი
ნავში ჯდომისა არ მომდიოდა
და მენაობა—ჩემი ხელობა
ნატვრად არ მქოდა, აღარ მინდოდა...
მაგრამ როს, თითქოს გამოიღვიძე,
კლდეებს დაუწყე დაშლა, დანგრევა,
თავისუფლების ზღუდეებისა
ზვირთთა მთებისგან. ისმოდა ბრგვინვა,
ქაფ მორეული იყავ ბრისხანე,
გადადიოდი კიდე-ნაპირებს,
თავისუფლების შემაბრკოლებელს
გლეჯდი, ნადავლს კი აძლევდი ზვირთებს,
მეც ვიგრძენ თავი დამცირებულათ,
მწვავე სიმძლავრე ბატონობისა
და შეეცურე ნავი ზვირთებში
თავგამოდებით მოსმით ნიჩბისა...
ალლა კლდეებსა და ამაყ მთებსა
ცახცახი ეწყო, ფერი ეცვალა,
როს ქაფიანი შენი ზვირთები
გადასდიოდა მათ ყირამალა,
ღრღნიდენ და გლეჯდენ კიდე ნაპირებს.
მედგრათ ითხოვდენ თავისუფლებას,
თუმც მთა-კლდეები ქვა-ხრეშებითა
ძალას უდებდენ შურის ძიებას;
მაგრამ, ვიშ ზღვაო, მაშინ შენს მნახველს
როგორ მიძგერდა გული, ვშფოთავდი,
მთა-კლდეები კი რას დაგაკლებდენ
შენ მძლეთა მძლეო, მათ ისე წნავდი...

—

ეხლა აღარ ხარ აზვირთებული,
კვლავ ჭმუნვით სახე აღარ გეცვლება,
ნარნარებ ნელა, შეუწუხებელად,
შენი ქუხილი ხმელეთს არ წვდება,
მაგრამ გულს მიწყლაეს სანახაობა
რომ მთა-გრეხილი კვლავ გარს გარტყია,
წამოგწოლიან თავს სალი კლდენი,
რასაც ნატრობდი მის არ რა გცხია...
ჩემი ნავი კი მთელია ისევ,
ნიჩბებიც ხელთ მაქვს მომართულია
უსობ ნიჩბებსა, ნავი წინ მიმყავს,
არ გამტეხია კიდევ გულია,
თუმც ეს ნისლები შუბლს რო გიბურავს
გზა-სვლასა მიბნევს, ჭირად მიხდება
სულ სიბნელეა შენ თავზე ზღვაო
არ ვიცი როდის გაგვითენდება!

ს. ქურაძე.

დეპეშები

სვარი. სამხრეთ ბაღდადის შტატები) დეპუტატთა პალატა. მუდმივი ჯარის გაუქმების შესახებ კამათის დროს, პალატამ უნდობლობა გამოუცხადა კაბინეტს. 496 ხმით, წინააღმდეგ 23-სა მუდმივი ჯარი გაუქმებულ იქმნა. კაბინეტი გადადგა.

იქადანვე. გადამდგარ სამინისტროს მაგიერ შესდგა ახალი კაბინეტი. მინისტრ-პრეზიდენტი—ისე

ჭყოიძე; შინაგან საქმეთა—ლუარსად გიორგაძე; გარეშე საქმეთა—ალფუზ კაპანაძე; სამხედრო მინისტრი გენერალ-მაიორი მარკიანე წაქაძე; საერო განათლების მინისტრი—პროფესორი გიორგი ჯუღელი; გზათა მინისტრი—სპირიდონ გიორგაძე; ვაჭრობა-მრეწველობისა—ანდრია ორბელაძე და ახალშენთა ანტონ სულაქველიძე. ერთის გარდა ყველანი რადიკალ სოციალისტები არიან, ერთი კი წმინდა წყლის ლიბერალია. *)

მოსალოდნელია დიდი რეფორმები.

ხადისთავი. სოფელი ფეხზე დადგა! საშინელი ცნობა მიიღეს! სტუდენტი დათიკო კინგურაძე იწერება, თურმე, რომ ხაზოგადოების მიერ მოგროვილი ქარქარი „ჩერეს ტიონში“ დამეკარგა და ეცადეთ დროზე მომიგროვოთ კიდევ ასი თუ ორასიოდ ქანქარიო. ყველანი ძლიერ დაადონა ამ ამბავმა და ადარ ზოგავენ არავითარ საშვალებას ადრე მოგროვონ საპირო თანხა. ხელის მოწერა უკვე დაიწყო.

მიხაილოვი. ვაგონის ცეხის მუშებს განზრახვა აქვთ, 1910 წლის პირველ იანვრიდან ორი „ტელოხრანიტელი“ დაუქირაონ დიმიტრი ტყეშელაშვილს, რომ უზრუნველ ყონ მისი სიცოცხლე; ხოლო მანამდე მორიგეობით უყარაულებენ თვითონ მუშები

იქიდანვე. ამ დღეებში ბ. სამედიატორო სამართალი დეპეშით შეეკითხა იოსებ თედორაშვილს „შეგვატყობინეთ, რა არის მიზეზი, რომ დამიიწყე და ჩემს კარებზე აღარ გაიარეო.“

უკანასკნელს პასუხი ჯერ არ გაუცია...

გამოცანა.

ძნელს მე არაფერს დაგიწერთ,
ან კი რა სასურველია?
მოღვაწის სახელს ატარებს
ექვსი თუ შვიდი წელია,
მაგრამ ღირს-შესანიშნავი
ჯერ არა მოუწველია,
რა საქმეც კი არ მიანდვეს
ყველგან წაუხდა წელია,
ზღვა ქანქარს დაუპატრონეს
ორ დღეში გამოელია,
გუბერნატორის კარებზე
ტალახი მოუზელია,
დურმიშხანული საქმისთვის
არ დაუკლია ხელია.
ენიდან თაფლი ჩამოსდის
საქმეზე ერთობ ჭრელია,
ენდობი, დაგაღალატებს
როგორც ცბიერი მელია,
„პატიოსნებით“ აღთქმული
ათასჯერ გაუთელია.
„სიბერის ჟამსა გაქაჩლდა“
დრამებს მოჰკიდა ხელია,
დაიდგა ანწლის გვირგვინი
სანაგვეს მონაჭრელია,
ალბათ ჩუმ-ჩუმათ შესტფოდა
და ჰქონდა სანატრელია.
(სხვა არა მოგცეთ უფალმა
თქვენ მეტი სადარდელია!)
ვფიქრობ კიდევაც ახსენით,
ან კი რა არის ძნელია...
მე მხოლოდ მისთვის შეეწუვიტე,
რომ ლექსი შემომელია.

ხარაბუზა.

მესტვირული.

ზუგრი ვაქციე ძველ წელსა,
ახლისკენ მივეჩქარები:
იქნების რამე მარგუნოს
მან ვულის გასახარები.
თორეს გაწყალდა სიცოცხლე,
დაიხშო შვების კარები,
უაზროთ დავძრწი ამ სოფლათ

---

*) კიდევ კარგი, თუ მღვრიე წყლისა არ არის.

ეშმაკი.

ბედისგან განამწარები.
ყველ მხრივ მესმის ქვითინი,
მოთქმა და გლოვის ზარები,
დედა-მიწასა გაალბობს
მომძეთა ცრემლის ღვარები,
ძმა ძმასა ჰყიდის, სიურცხვით
მხეცისა დასადარები,
არ ერიდება სიავეს
ოლონდ აიღოს ფარები.
ყველანი აღსდგენ მკვდრეთითა
ცხრაას ხუთი წლის მკვდარები,
ცოცხალთა დასამარხავათ
მიწას გაუღეს კარები.

ცხრა მთასა ამოაფარეს
მზე გამთბობ-გამახარებელ,
უკუნეთითა დაჩრდილეს
სამშობლოს მთა და ბარები,
მიტომაც ძველი მომძაგდა
ახლისკენ მივეჩქარები.
გამხნევდი, ჩემო ქამანჩავ,

„თფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორმა ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორს წარუდგინა განცხადება ნიკ. ივ. თამამშვილისა, რომელითაც ბ-ნი თამამშვილი თხოულობს სამართალში მისცენ გამგეობა იმ ამხანაგობისა, რომელსაც განზრახავ ჰქონდა ქუთაისში წყალი გამოეყვანა.“
(„თფილ. ფურცელი.“)



ნ. ი. თამამშვილი. აი, პატონო გამომძიებელო, სწორეთ აქ, ამ მილებში შეძვრენ!

გამომძიებელი. დიდი ხანია?

ნ. ი. თამამშვილი. რა მოგახსენოთ, თითქმის ცხრა წელიწადი იქნება. წაიღეს ფულები და შეძვრენ. იქნებ გამოიყვანოთ როგორმე!

გამომძიებელი. ვნახოთ!.. ვეცდები!

წმინდათა-წმინდა გათელეს
მაშვრალთა მონაგვარები
და ბოროტება ტახტს დასვეს
სიცოცხლის შემაზარები.
ქვა-ლოდებითა დაახშეს
ტურფა ედემის კარები,
აახმაურეს ყველ მხრივ
სამგლოვიარო ზარები.

აწ ავამღეროთ სტვირიო
იქნებ ამ წელთან დავმარხოთ
ხათაბელა და ჭირიო.
ბევრჯელ ვყოფილვართ მწუხარე,
მწარ ცრემლით ანატირიო,
ელოდა ჩვენსა აღსასრულს
ღამის დარაჯი სირიო.
ორმოში ჩამწყდეულებსა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავზედ გვედგა გზირიო,
ენაზე კლიტე დაგვადეს
დაკული გვქონდა პირიო,
აღარ შეგვეძლო გვემღერა
ჩვენ ჩვენი გასაჭირიო,
ტყვილათ ხმებოდა ეს გუდა
და საყვარელი სტვირიო.
სახლ-კარი გაგვიპარტახეს
ბევრიც დაგვაკლეს გმირიო,
და სოფელ-ქვეყნად ვიდოდით
ბედისგან განაწირიო,
უტოლ-მეგობრო, ეულ-ბედ-ვიით უდაბნოის მწირიო,
მაგრამ აქამდე მოვედით
ვლიეთ ხიფათი ხშირიო,
წიხლი ვკრათ ამ ძველ წელიწადს,
ახალს მივაპყროთ პირიო
და შემდეგ სხვა გვარ ვამღეროთ
ჩვენი ერთგული სტვირიო.

ტლინკაძე.

ერიში.

ერიშით მოვლენ ბიჭები
სომაგრის ასაღებათა,
ოფლშიგან იწურებიან
ჭირი მოუჩანთ შვებათა.
დროშა აქვთ მანჯთიანი
ადვილი წასაღებათა,
არ მოელიან სიძნელეს
კრების გასაღებათა.
მაგრამ მტრებს „წამოელეწენ“
აქ ნანგრევების წყებათა.
ზედ გადმომდგარან გმირები
სამ პირათ, სამრიგ-წყებათა,

ერთიც არ უნდათ მომხვდური
ციხეში შესაშვებათა
დროშა აქვთ ერთობ ძვირფასი
სიმაგრეც უღირთ ქებათა.

პირის-პირ შეხვდენ, დაიწყო
ბრძოლა ცხარე და საზარი,
შიშია გმირთა სიმაგრე,
იწყო რღვევა და ზანზარი,
მაგრამ გადარჩა, დაეცა
მომხდურსა „მტერსა“ თავზარი,
საწევრო გადასახადი
დარჩა კვლავ სამი ქანქარი!!!

ამრიგათ ქვეყნის რჩეულებს,
კვალად უღიმით პირები,
ადვილათ მოიგერიეს
ურჩნი და პურაძვირები.

—კი.

დეკემბერი.

(სამეგრელოს საგენტო)

ბაბაშა. რვა თვის ლოდინის შემდეგ როგორც იყო გვეღირსა ბიბლიოთეკა—სამკითხველო, ე. ი. სენაკის წ. კ. ს. გაწყოფილებას უკვე უფიქრნია ამ საქმისათვის ხელის მოკიდება.

ბანდა. პროფესიონალური ქურდები იწვევენ ყველა კუთხიდან გამოცდილ ქურდებს, რომ გამოიმუშაონ დროს შესაფერი საუკეთესო ხერხები ქურდობისა. ვინც მეტს ნიშს გამოიჩენს უმთავრესად ებოძება „დანელიას“ ჯვარი.

გულუხვთა. სოფლის კანცელიარიის მწერლები ღვინოს ფიხის ქოთნებით მირთმევენ, რადგან სოფლათ ყანწებს ვეღარ შოულობენ.

ახალ სენაკი ბაზრის გამგეები აფრთხილებენ ყველას „ეოჩაბაბოთ“ (ოჩაბახი მაღალი ხის ფეხებია) არავინ შამოვიდეს ბაზარში, თორემ ტლაპოში ბანაობა მოელის.

ქოლობანი. მამა ფარნა, ადგილობრივ მასწავლებელთ მონასტერში გაგზავნით დასჯას ემუქრება, თუ რომ მოწაფეებს ყოველ დღეს საყდარში არ წაიყვანენ სალოცავათ.

სუჯუნა. სიმართლეს მოკლებულია ის ხმები, ვითომც მამა ფილიმონს მეკენჭე მღვდლები მის ასარჩევად ,,რითიმე'' მოემზადებიოს.

ბაბაშა. ხანგრძლივი გაფიცვის შემდეგ ადგილობრივმა შეგირდებმა და ქარგლება მოიპოვეს მთელი ღამოობით განუწყვეტლივ მუშაობის უფლება. ამით გაბრაზებული ზოგიერთი აღა ხანდისხან თავის ,,პაწია მორჩილებს'' ჩათვლების დროს თავში ჩაუნისკარტებს ხოლმე და დედ-მამასაც უხსენებს.

ორი ეშმაკი.

„კაბინეტის გადადგომა“

მეორე. სწორედ კანკალი დამიწყო გულმა! ვიფიქრე: თუ მართლა ადგენ და გადადგენ, ხომ დაიღუპა საქართველო, ხომ დაინგრა მამულის კეთილდღეობა მეთქი...

პირველ. მიკვირს რამ გაფიქრებია ასეთი...

მეორე. როგორ თუ რამ! სიმართლე გითხრა გაგონილი მქონდა: როცა ოსმალეთის პარლამენტი სამინისტროს უნდობლობას გამოუცხადებს, კაბინეტი მაშინვე გადადგება სამსახურიდანო.

პირველ. კარგი ერთი მამა გიკხონდება! არ გახსოვს პირველი და მეორე დუმები რა უნდობლობას უცხადებდენ მთავრობას, მაგრამ „ვერ შეგეშინებთო“ უპასუხეს. ვის გაუგონია...

მეორე. კაცო მე რუსეთზე კი არ ვამბობ, სათთრეთზე ველაპარაკები. ამბობენ იქ ასეთო მეც „არცა მჯეროდა და კიდეც მჯეროდა“ ბ-ნი ტყავაძისა არ იყოს...

პირველ ტყავაძე რა შუაშია?

მეორე. არაფერ შუაში, ისე სიტყვამ მოიტანა. როცა ჰკითხეს: ამტკიცებ თუ არ ამტკიცებ, ანგარიშსაო, დაიძახა: კიდეც ვამტკიცებ და არც ვამტკიცებო.'' ჰო, მე გადადგომის ამბავი არ მჯეროდა, მაგრამ როცა ბ-ნმა პეტრე სუბგულაძემ ლაპარაკი დაიწყო, მაშინ... მაშინ კი ცოტა ეჭვი შემეპარა.

პირველ. რაო ვითომაო?

მეორე. რაო და თუ საზოგადოება ჩვენს არსებობას უნდობლობის თვალით შეხედავს... მაშინ მე ჩემს აზრს ოგახსენებ, მაგრამ მგონია სხვებიც მომბაძავენ და მთელი სამინისტრო სამსახურიდან გადადგებაო.

პირველ. როგორ? სამინისტრო გადადგებაო?

მეორე. ჰო, კაბინეტი, ანუ გამგეობა, სამსახურს თავს დაანებებს და მაშინ კი მართალი იქნება, რომ საქართველოს ბედს აღარაფერი ეშველებაო.

პირველ. ხალხი?

მეორე. ამ სიტყვების გაგონებაზე ყველას ქრუანტელმა დაურბინა ტანში. როგორ, ნუ თუ შესაძლებელია რაღაც უბრალო უნდობლობის გულისათვის კაბინეტი გადადგეს და საქართველო, რომელსაც სხვა ჭირისუფალი აღარა ჰყავს, დაიღუპოსო? მეც ძლიერ შევშინდი სიმართლე მოგახსენო.

პირველ. არ ყოფილა საშიში თუ რა?

ქვეყანამ იცის, მამულის ბედი
არს მათი ხელით შენამოქმედი;
ვით ათორმეტი ასირიელი,
თორმეტი-ბურჯი, ღონე ძრიელი
მას უდგას მცველად,
მას უდგას მხსნელად.

და რომ უბრალო უნდობლობით ჩვენ ის გამოვაშოროთ, ხომ სასტიკი პასუხისმგებლობა დაგვაწვება შთამომავლობის წინაშე!

მეორე. პასუხის მგებლობას კიდევ გაუძლებს კაცი, რაგრამ ხომ მომავალიც აღარ ექნება ხალხს? სწორეთ ასეთი ქართულით ლაპარაკობდა პეტრე მოციქული!

პირველ. გასჭრა მუქარამ?

მეორე. და განა არ გასჭრიდა? ორმოცმა ნდობა გამოუცხადა, ოცმა უნდობლობა და ერთმა კი ნდობაც და უნდობლობაც.

პირველ. ყველას რომ უნდობლობა გამოეცხადებია, მე მგონია საქართველოს არც მაშინ დაუშავდებოდა დიდი რამე. ეს იმიტომ, რომ ჩვენი „ქანშინწილკანგანსანის“ კაბინეტი არც ისე სულმოკლეა, რომ რაღაც უბრალო უნდობლობის გამო გადადგეს და ამით საქართველო ცეცხლში ჩაადგოს.

მეორე მეც სწორეთ ამის იმედი მქონდა. ჩვენ ხომ სათითრეთში არა ვცხოვრობთ ნდობა უნდობლობას ყურადღება მივექციოთ და მით მამული განსაცდელში ჩავაგდოთ...

პირველ. გამოსაცდელათ კარგი კი იყო ეშინჯათ მაინც.

მეორე ცეცხლთან ხუმრობა არ შეიძლება!

„მასკა“

შარად ᲐᲙᲠᲘᲫᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗᲔᲑᲘ

ნუ დამიძრახავთ კოლოსი,
ხშირათ რო ვერა ბზუოდეს,
ან თუ ბზუილი წაუხდეს
„ფუტკართან ძლიერ სტყუოდეს“.
რა ვუყოთ... მოსატანია
ყოველი გვარი პირობა:
ზოგჯერ სიზანტე კოლოსი,
ზოგჯერაც დროთა ძვირობა.
ახლა კი შეგთხოვთ: ჩაიყოთ
ჯიბეში თქვენი მკლავები
და ამოიღოთ საგანი
თავისა დასაკლავები,
მაგრამ თავს ნურვინ დაიკლავს
ამ ბედნიერ დღეს, შობასა!!
(ბავშვებსაც ვუშლითო ჩვენ იმით
ცელქობა თამაშობასა!)
არამედ თითონ ამ საგანს
თქვენ ბოლო ჩამოაკვეცეთ,
და მარცხის ასაცილებლათ
შემდეგ ისევე დაკვეცეთ.
სანაცვლოთ ხალხი მონახეთ
კავკასის მთებში მცხოვრები,
მოყვრისა მოყვრათ მიმღები
და მტერთან შეუპოვრები.
მოაბით პირველს მეორე
და მზათ იქნება შარადა...
ამ ბოლო წლებში გახშირდა
ის ჩვენში მოსახმარადა,
სასიყვარულო ბარათი
მთავრობის დასამხარადა,
იუდას ხელით ნაწერი
მოყვრის არ გასახარადა.
ქუთათურებმა იცოდენ
ძველ დროში იგი ჯარადა,
ათვალწუნებულ მეზობლის
სამარის გასათხარადა.
დღეს ქართლ-კახეთშიც დაიწყეს
შედგენა წარა-მარადა,
სწერს განურჩევლად, სულყველა
ამოსაგდები გვარადა.
ართალი გული, იმისი
მაწყევარია მარადა,
ბოროტს კი მისი შედგენა
არ მიაჩნია არადა.
არ მეგულება მკითხველი
ეშმაკის დასამხარადა,
რომ ვერ ამოხსნას ადვილათ
ეს, მცირედი შარადა.

კოლო.

ახალი ამბები.

—

,,მრავალ-ჟამიერ''. ხმები დადის: სასულიერო მთავრობას დაუდგენია ყველა მისდამი რწმუნებულ სასწავლებლებში აუცილებელ საგნათ შემოიღონ ,,ქაბური მრავალ-ჟამიერის'' გალობა. ამ რეფორმას ,,ივერიის ეკლესიისათვის'' დიდი მნიშვნელობა თურმე ექნება.

,,კეთილი საქმე'' თფილისის ტრამვაის დირექტორს საჭიროთ დაუნახავს ხელმეორე შუამდგომლობა აღძრას ადმინისტრაციის წინაშე და უკანვე დააბრუნებიოს ის მოსამახურენი, რომლებიც ამ წინაზე შორეულ გუბერნიებში გააგზავნეს. სრული იმედი აქვთ ადმინისტრაცია ამ მეორე შუამდგომლობასაც მიაქცევს ყურადღებასო.

,,სანატერესო'' ლექციები. როგორც ამბობენ ამ მშვენიერ დღესასწაულებში, ჩვენი გამოჩენილი მოღვაწე და ლიტერატორი იასე რაჭველი წაიკითხავს ლექციებს შემდეგს საყურადღებო თემაზე: ,,ახალ-მოდის ჰიეროპლანი''. ანუ ,,როგორ შეიძლება გაფრინდეს მთელი საზოგადოება ერთი ჩამოდანით''. ლექციის წმინდა შემოსავალი დანიშნულია ,,გეორგიის'' ამხანაგობის სასარგებლოთ.

სასურველი განზრახვა. ხმა დადის: ბ-ნი ექვთიმე თაყაიშვილის წინადადებით, ქართულმა არქეოლოგიურმა საზოგადოებამ შეადგინა ცალკე სპეციალისტთა დასი წ. კითხვის საზოგადოებასთან არსებულ ფონდების გამოსაკვლევათო.

უცხო სიტყვათა ახსნა.

(ხონის რაიონისათვის)

მათხოვრის დილიკანი—საუცხოვო მანქანა საქმელის მოსანელებლათ და გვერდების გასასწორებლათ მოგონილი.

არლანი—ხონური როიალი.

კარტა—ხონელ ვაჭრების უბის წიგნი.

გაკოტრება—სურდო რომელმაც ათამდე ვაჭარი იმსხვერპლა.

მტერდი—სულის მაცხონებელი ფრინველი. (გამოკვლევა ეკუთვნის ქვიტირელ მღვდელს ილიკო ბახტაძეს.)

სილა—საშვალება, რომლითაც ანგარიშს უსწორებს წიგნის მაღაზიის გამგე ა. მებუკე ჟურნალ-გაზეთების აგენტს.

სამკითხველო—გასართობი სახლი.

სტრაენიკები—არღნების ყარაულები.

პროლეტარი ეშმაკი.

,,რომ იცოდეთ ჩემი გულის დარდები,''
კიდევ უფრო ვარესად შეგზარდები-''ო

ამოვიკითხე ერთი ხუცის სახეზე, როცა ის ძველი სემენარიის ქვედა სართულიდან გამოვიდა, წვერებზე ხელი გადაისვა, ერთი ჩაახველა და დაბლა დაუხვია.

განა არ ვიცით მათი გულის დარდები? რასაკვირველია ბევრი ვიცით, მაგრამ ყველას საიდან გაიგებ კაცი? აი თუნდ შარშანდელი, თუ შარშანწინდელი არ იყოს, დღესაც აქვთ მღვდლებს კრება მაგრამ ძველებურათ ძაგრა გამოუკეტეს კარები პრესის წარმომადგენლებს. ნეტავი რისი ეშინიათ კურთხეულ მამებს? ნუ თუ სინათლის?

ცხადია!.. სინათლე დიდი ბოროტი რამეა. თუ ერთი თვალი მოჰკრაო ბოროტებას, იმას ველარ დამალავ, ვერას გზით ველარ დამალავ რამდენიც გინდ ანაფორის კალთა გადაფარო. მღვდლებს დიდი კალთები კი აქვთ!

და წარმოიდგინე მკითხველო. უცებ ამ მღვდელთა კრებულიდან მაინც იჩინა თავი პატარა ამბავმა. უბრალო ადამიანი იფიქრებდა მათ იქ ვახშამი აქვთო და მიეხედავათ იმისა, რომ ხუცებს ძლიერ უყვართ ვახშმები და სხვა ამისთანაები, მათ მაინც თურმე ხელი სხდომა ჰქონოდათ. მაშ რას ნიშნავდა ის „მრავალ-ჟამიერის'' გუგუნი? სწორეთ ძნელი ასახსნელია! გუგუნი კი ძალიან ისმოდა. ათასგვარი ხმები დადის ამის შესახებ. ზოგი ამბობს: ქვრივ მღვდლებს მეორე ცოლის შერთვის ნება მისცესო; ზოგის აზრით, წვერისა და თმის მოპარსვის ნება დართესო; ზოგი იმასაც კი ამბობდა ავტოკეფალია მიანიჭესო, ზოგი ეკლესიების მამულები და ყმები დაუბრუნესო, ზოგის სიტყვით ჯამაგირები მოუმატესო და ათას სხვა უცნაურ რამეებს ლაბარაკობდენ, მაგრამ ყველაფრის არც თქმა შეგვიძლია და არც დწერა,

* * *

სწორეთ ისე, როგორც ყველა თანამედროვე გაზეთს. ამ წინაზე ერთ რუსულ რედაქციაში შევიარე. იქ ერთ ქართლის მივარდნილ სოფლიდან კორესპოდენტი იწერებოდა: ბ-ნო რედაქტორო! საჭიროა სოფლის უნუგეშო მდგომარეობას ყურადღება მიექცესო. აი მაკალითად ამა და ამ სოფლის მამასახლისმა ამა და ამ გლეხს ჩამოხჩობა გადაუწ-

ყვიტა. გადაუწყვიტა და აუსრულა კოდეც, მაგრამ როცა ჩამომხრჩვალი, თუ ჩამოსახრჩობი, ჩამოხსნეს, ის საბედნიეროთ ცოცხალი აღმოჩნდაო. მამასახლისი ამ სასწაულის შემდეგ სავსებით დარწმუნდა გლეხის უდანაშაულობაში და გაანთავისუფლაო. ამ წერილმა სწორეთ დიდი კამათი გამოიწვია რედაქციაში. ზოგის აზრით საჭირო იყო მისი დაბეჭდვა, რომ უმაღლეს ადმინისტრაციას წვრილფეხა მოსამსახურებისათვის ყურადღება მიექცია და დაეტუქსა; ზოგის აზრით მისი დაბეჭდვა არ შეიძლებოდა, რადგან შეიძლება ამას მთავრობამ ყურადღება მიაქციოს და გაზეთი დაგვიხუროსო. ახლა თქვენ თითონ გამოიცანით რომელი უფრო მართალია ამ ორში.

* * *

ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘ

ხოლო ქუთაისის დრამატიულ-საზოგადოებას რაც შეეხება, ის ცამდე მართალია: პართენ გოლუას დრამა მას კარგ ლუკმას მისცემს. ალბათ ამ მოსაზრებით განუზრახავთ იმის განმეორება, რაც ადგილობრივმა ჟურნალ-გაზეთობამ ერთხმათ დაჭგმო. ვ. გუნიას რა თქმა უნდა გული არ მოუთმენს, ხმალაძის როლში ერთხელ კიდევ არ დაუკურთხოს მოძრაობას. ის ამაში გოლუაზე არა ნაკლებ გამოცდილი „ავტორია“ და აბა რა არის გასაკვირი თუ თფილისის სცენიდან ქუთაისში გადაიტანონ ეს სიაინძურე.

მარეხა.

სვირი. ჩვენი სოფელი დიდს წარმატებაშია. გაიხსნა სამოქალაქო ექვს-კლასიანი სასწავლებელი, სამეურნეო-განყოფილებით. ამის შესახებ მამა სიმონ მჭედლიძემ ნამდვილი პანაშვიდი გადაიხადა და შემდგომ ამისა გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა. მზრუნველაო ერთხმათ არჩეულ იქნა ჩვენი დაიაბეული მოძღვარი.

—

ხიდისთავი. აქაური ყმაწვილკაცები და ყმაწვილქალები საშინლათ დასასტა წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვამ. არც ერთს საღი თვალი არ შერჩენია ძლიერ საჭიროა გამოცდილი თვალის ექიმი. წარმოიდგინეთ ერთმა დედამ სახლშიაც არ შეუშვა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, სახლიდან გაავდო თავისი ქალიშვილი.

ზრასტი.

—

სოფ. ᲗᲐᲛᲘᲚᲘ *) (ოსეთი). ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲝᲑᲐ-ნო ᲔᲛᲐᲙᲐ! წესით და რიგით შენ ჩვენს სოფელში უნდა ცხოვრობდე. აქ ნამდვილი ჯოჯოხეთია. ცემა, ტყეპა, როგორც ქალებისა, ისე კაცებისა ორი ერთ შაურათ არის. სამკითხველო, ან კი ვიდასთვის არის საჭირო, მაგრამ მაინც უგზო-უკვლოთ დაიკარგა. მოინტელიგენტო ხალხი ღვინოში ჩაიძირა.

ᲮᲐᲛᲔᲚᲘ ᲩᲐᲥᲣᲩᲘ.

—

სვირი. ამ დღეებში გაიხსნა „სამეურნეო ამხანაგობის“ მეათე კრება. თავჯდომარეობდა ანთიმოზ ჯიღელი. „ამხანაგობის“ მდივანმა, აგრონომმა ვლადიმერ ცხადაძემ შესანიშნავ მოხსენებას მოხსნა თავი. ამ ათი წლის განმავლობაში ამხანაგობას გაუკეთებია: 1) ათი ათასი დესეტინა ნამყენი ევროპიული ვენახი. 2) ორი ამდენი ხეხილის ბაღი და ბოსტნები. 3) 25 უბანში გაუხსნია სამეურნეო სამკითხველოები (თანახმათ პროგრამისა) 4) დაუარსე-

*) ᲮᲐᲛᲔᲚᲘ თუმცა გარეთ კახეთშია, იორის პირათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც «პრავიტელსტვენი» ამამასახლისი დაუყენეს, ის ოსეთში გადაირიცხა. Ხ. Შ.

ბია 12 კოოპერატიული სავაჭრო 5) გამოუწერია ათი მილიონის სამეურნეო იარაღები. 6) ამხანაგობაში ირიცხება 80001 კაცი და კასაში ითვლება ნაღდი ორ ნახევარი მილიონი მანათი. კამათი გამოიწვია მხოლოდ 800 მანეთის უგზო-უკვლოთ დაბნევამ.

კრებამ დიდი „მადლობა“ გადაუხადა მომხსენებელს და აგრეთვე საქმის სულის ჩამდგმელთ: ა. ჯუღელს, მღ. სვ. მჭედლიძეს და აგრონომ ვლად. ცხადაძეს.

სან—ო ელ—შვილი.

—

ქ. ბათუმი

სასტუმროს მსახურთ, ეშმაკო,
(შენც მოგხსენდება მგონია)
მანეთზე ორი შაური
თურმე პროცენტი ჰქონია.
სტუმრებისაგან ეძლევათ
„აფიციანტებს“ ეს ფული;
(უწინდელ იმათ წეს რიგში
ასეა მოხსენებული).
ზოგ ბაზეინებს ეგ საქმე
ჰქონიათ სადარდელათა,
და ამა პროცენტს შეეურებს
წასარომეგ შესაშველათა.
ამბობენ წახდა დროება
ლაქრებს სხვა აქვთ შოვნაო,
ალარ არიან ისეთნი
წინეთ რომ იყვნენ მონაო.
და ამა ფიქრით, ბევრ მათგანს
ღამე არა აქვს ძილია
ამათში ხერხით არშაკა
ზედ მეტი გამოცდილია.
მან მის მსახურებს ურჩია
მე მომბაბარეთ ფულიო,
თქვენ ტყვილა შეეამთ ჩემთან, კი
გექნებთ შენახულიო.
მისცემ შეგიჯამს, არ მისცემ
დღე დაგადგება შავია,
ეს იმასა ჰგავს, მსუნაგ მგელს
რომ ჩააბარო კრავია.
ამ გვარათ უყვარს მუშეგოვს
პროცენტის შეცმაცუნება
და აწყენს იმას ეშაკო
მათრახის წატკაცუნება???

ეშმაკოვსკი.

--

შორაპანი. ცხოვრება წინ მიდის.გაიხსნა წიგნთსაცავ სამკითხველო. გამგეთ ბ-ნი ვარლამ ქაქიშვილი აირჩიეს. წარმატება უზრუნველყოფილია. გაიხსნა აგრეთვე „განმანათლებელი კლუბი“. ღამე არ გავა, რომ ახალგაზრდა ყმაწვილები ფეხმ ეოჯახს არ ესტუმრონ. ერთ ასეთ დაუპატიჟებელ სტუმარს კარგი საჩუქარი შეხვდა. კონდუქტორი არჩილ ლოლაძე დაბეჯითებით იკვლევს წითელს ახნაურულსა და შავს „ღორების“ (გლეხების) სისხლს. ამბობენ ამ გამოკვლევის დროს კიდევაც აღმოაჩინა... მათრახის კუდი.

—

მახალოვი. ძმაო ეშმაკო! ჩვენს გარდაცვიცით, ბევრი გაქვს დარდები,—
მაინც გთხოვთ: მიხაილოვში
ჩამოსვლას ნუ დაგვზარდები.
ესტუმრე ვაგონის ცეხსა,
ოდნავ აქუტე თვალები,
და ნახავ, რა რიგ გამრავლდენ
აქ სამთარახო გვამები.
დიმიტრი ტყეშელაშვილი
მოხერხებითი არს ცნობილი;
სხვა და სხვა გვარსა ხრიკებში
ფოლადებრ გამოწრთობილი.
მან თავის მუშებს შიმართა:
„რომ მემტერებით ვიცი,
ექვი აღარ მაქვს ამაში,
რა საქიროა ფიცი.“
და წარუდგინა ქაღალდი
სახელათ ,,ხელ წერილაა,“
სადაცა მოკლეთ, ცალ გვერდზე,
შემდეგი დაწერილია:
„თუ კიდევ ვინმემ წერილი
მომწერა უსახელოო,
ან ბაქო—ბათუმის შუა
შემეხო ხელდა ხელაო.
თქვენი იქნება ეს საქმე.
ეცადეთ, შემინახოთო,
თორემ სადაცა ჯერაარს—
პასუხი უნდა აგოთო.
„ამიტომ, განკარგულებას
ვახდენ მე ფრიად ფიცხელსო,
ვაგონის ცეხის მუშები
მოაწერავენ აქ ხელსო.“
დაიწყეს ხელის მოწერა...
არც ეს იფიქრეს, არც ისა
და ზეცას თხოვენ,—„ მიტრი
არ გახდეს „წერა“ კაცისა ..“
ამ გვარათ, კალმის ფხაჭუნით
ვაამსეს მთელი გვერდები
მუხლმოდრეკილნი მეუფის
არიან შემავედრები.
ახლა ამას გთხოვთ, ეშმაკო,
ნუ მოგვიძულებ სრულათო,
დიმიტრის ზურგი მათრახით
მოფხანე მოგობრულათო.
გთხოვთ, ნუ დატოვებ მუშებსაც;
მათრახი მათაც არგევი,
და გულუბრყვილო წერისოვის

ამ გვარათ დაარიგევი:
წერა და კითხვა გცოდნიათ,
მაგრამ დაფიქრდით კარგათ-თქვა,
კალმისა გაფხაჭუნება
სულ ყველგან კი არ ვარგა თქვა...

ახლად გაეშმაკებული.

ᲬᲐᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

—

ბ-ნო რედაქტორო! «მათრახი და სალამური»ს № 23-ში მოთავსებული იყო ჩემი მესტვირული, რომელშიაც ვეხებოდი რა ერთ კონფლიქტს, ერმალო ჯაველიძეს «და—ნოსჩიკი» ვუწოდე. ამ გარემოებამ დიდი მოთქმა-მოთქმა გამოიწვია და ამ უკანასკნელმა მაიძულა მეტის ყურადღებით მოვპყრობოდი ამ საქმეს. ამ მიზნით მოვიხსენიე ამხანაგები და მათის შემწეობით გადავსინჯე საქმე ყოველ-მხრივად. ამ კვლევა-ძიებამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა და აშკარათ დამაჯერა, რომ თოხაძესა და ჯაველიძეს შორის არსებული კონფლიქტი მეტათ რთული და ხლართიანია. თანაც პირადათ ჯაველიძის სარიგარი «დანოსის» შთაბეჭდილებას ანდენს, რომლითაც მე შემიძლია (სანამ ასე ღრმათ გავეცნობოდი საქმეს) ვით გარეშე მეთვალყურეს ნაჩქარევი დასკვნა გამომეტანა და კიდეც ხაზი გავუსვი ამას, მაგრამროცა უკეთ გავეცანი საქმეს, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეს გარეგნულათ დანოსის ელფერ-გადაკრული საბუთი, არსებითათ უბრალო საჩივარია, თოხაძის წინააღმდეგ, მის საპასუხოთ მიმართული; გამოდიგარ რა იმ შეხედულებიდან, რომ სიმართლე არ დაირღვიოს ვაცხადებ მკითხველ საზოგადოების წინაშე: „რომ ერმალო ჯაველიძეს არ დაუმსახურებია „დანოსჩიკის" სახელი არც ერთი თავისი მოქმედებით.

ტლინკაძე.

რედაქციის საყურადღებოთ.

ამ განცხადებით მე ვკმაყოფილდები, მაშასადამე ჩემს და ტლინკაძეს შორის სამედიატორო სამართალი აღარ შესდგება.

ერმალო ჯაველიძე

—

ბ-ნო რედაქტორო! თქვენი პატივცემული გაზეთი „მათრახის" ოცდა მეექვსე ნომერში მოთავსებულია ტლინკაძის ლექსი: „მესტვირული ფოთლებისათვის«. ამ ლექსში სხვათა შორის ნახსენები ვარ მე, როგორც „ოცციალიზმის" მოღალატე. თითქოს ეე ჩემი მიმართულება „დამტოვებინოს" და სხვა საქმეს გამოკიდოდეე „ქანქარის - საშუალებათ" და სხვა... ტლინკაძეს, რომ მკითხველი საზოგადოება კარგა ჩემსავით იცნობდეს,მაშინ გადაჭრით ვადგიარებ ტლინკაძეს მესტვირული კი არა „ტომებიც" ეწერა ჩემს წინააღმდეგ ორი სიტყვით პასუხის ღირსადაც არ გავხდიდი. მაგრამ ჩემდა სამწუხაროთ ეს ასე არ არის. გაჰკეთს თავისი მკითხველი ყველ და ამთან ერ შეიძლება ტლინკაძის ვარჯიშობა ჩემკენ მომართული, სიმართლეთ მიიღონ და ამნაირათ საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელსაც მე უფრო პატივსა ვსცემ და ვაფასებ, ჩემზე ყალბი, შეუფერებელი აზრი შეაყენოს. მარტოის გარემოება, რომ ხსენებული აზრი ტლინკაძისა „მათრახის" ფურცლებზეა დაწერილი, იმ რედაქციის ნებართვით, რომლის ხელმძღვანელნი და თანამშრომლები, მე ვფიქრობ, სხვა მხრივ უნდა მიცნობდენ, აშკარათ ამტკიცებს ჩემი იეჭვების საფუძვლიანობას. ამისათვის მე საზოგადოების საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ ტლინკაძის მესტვირულში ჩემს წინააღმდეგ მომართული კუბლეტები ჩემგან დაუმსახურებელი პასკვილია, საზიზღარი ცილის-წამებაა, რისთვინაც ვიწვევ ტლინკაძეს სამედიატორო სასამართლოში, სადაც მან უნდა წამოაყენოს და დაამტკიცოს ის ფაქტები, თუ მოტები, რომლებთანაც ხელმძღვანელობდა ჩემს წინააღმდეგ ვასკვილის დაწერის დროს. რომ საქმე არ გაჭიანურდეს მე ჩემს მედიატორეებთან ვასახელებ გ. ი—ს და ვ. ნ—ს. ტლინკაძე კარგათ იცნობს ამ პირთ და იმედია თავის მედიატორეებს ამ წერილის წაკითხვისთანავე დაუსახელებს. ესენი აირჩევენ თავმჯდომარეს და საქმეს გაარჩევენ აქ. ფოთში, რაც შეიძლება დაჩქარებით. მედიატორეთა ანაჩენი უნდა გამოცხადდეს „მათრახში".

ვიქტორ დალინტი

ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘᲡ ᲤᲝᲡᲢᲐ.

ᲤᲝᲗᲝᲗᲘ. ედგარდს. თქვენი მოწოდებული ცნობა უნდა შეიმოწმოს ადგილობრივმა კორესპონდენტმა ვოლდეკარმა. ლექსი შევამოწმეთ და არ იბეჭდება.

ᲮᲘᲖᲘᲡᲗᲐᲕᲘ. ჭინკას. გთხოვთ მოგვაწოდოთ ცნობები «დეკეშების»ი სახით, მხოლოდ ცალკე განმარტებით.

ᲜᲐᲒᲝᲛᲐᲠᲘ. ნ ა გ ო მ რ ი ე ლს. „ტანჯული ძმები" არ იბეჭდება.

ᲚᲐᲓᲔᲛᲘ. ნ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე ს. აბა ეს რა ლექსია, თუ ღმერთი გწამთ! თქვენც სწუხდებით და ჩვენც გვაწუხებთ.

ᲨᲐᲠᲐᲮᲐ-ᲧᲐᲜᲘᲔᲑᲘ. იასონ გეორგიჩს, არა, ძმო!

ᲒᲝᲠᲘ. მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ს. თქვენი სცენა «ბერო გაუშვი ბერობა, სხვა დაიბერე ხელობა» არ დაიბეჭდება. რჩევით კი გირჩევთ თქვენც მიხედოთ ამ ჩინებულ ანდაზას.

ᲮᲐᲨᲣᲠᲘ. ხ. პ ა პ ი ნ ა შ ვ ი ლ ს. ამიტომ არ გვინდოდა თავიდანვე წერილების ბეჭდვა. თუ საქმე გაინტერესებთ და არა პიროვნების გაგება, მაშინ რწმუნებულის წინაღმდეგ არაფერი ითქმის.

ᲮᲐᲨᲣᲠᲘ. გლ ი ს. ვერც თქვენ წერილს ვბეჭდავთ, უადგილობის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელიეტონი **1910 წლისათვის** ფეოლრ ვ.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე

პირველ იანვრიდან ჟურნალი გამოვა გადიდებულ ზომის და ფერადის

კრასკეებით დაიბეჭდება.

ვინც ამ თავიდან ვამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს ავვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთათ

პრემიათ გაეგზავნება

ახალი კრებული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. როგორც ორგინალური ისე ნათარგმნი.

წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მ.

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის **სრულად უნდა აუცილებლათ შემოტანილნ პირველ ივნისამდე.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: პირველათ 2 მ. 50 კ. დანარჩენი 2 მ. 50 კ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა იმავ ფორმატით და იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება გაეუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიღებენ: ა'ხაანი, ბლიეგვაძე, კანჯის-კარელი, ეშმაკი, ბოდდემარი, ზომდეოელი, თურდოს-ბარელი, ისსმანი, კენტი, დეზნუმელი, მალაქიაშვილი, პიტნა, ტ. რამიშვილი, რუსაძე, რუშაველი, ტუქსაშვილი, ფონ-ტეფო, ქუჩიშვილი, შსანკოლი და სხვანი.

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ Типографія Т-ва „Шрома" Василію Карамановичу Болквадзе.

ელექტრო-მ ებდავი ამბ. „შრომა" რუს. კ. № 3. რედაქტორ-გამომცემელი ვ. ბულაშვილი.